

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების (200 000 მ²) და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების (200 000 მ² მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნი აზომვითი ნახაზები) შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარს, შესაბამისი გადასახადების (მათ შორის - დღგ), მოსაკრებლების და გადასახდელების ჩათვლით. მათ შორის:

3.1. შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების შედგენის სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 კვ.მ. (ერთი კვადრატული მეტრი) შენობის შიდა ფართზე შეადგენს 0,20 (ოცი თეთრი) ლარს, ხოლო 200 000 კვ.მ. (ორასი ათასი კვადრატული მეტრი) – 40 000 (სამოცდათვრამეტი ათასი) ლარს;

3.2. საკადასტრო აზომვითი ნახაზები (მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნი აზომვითი ნახაზები) შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საწყისი სავარაუდო ღირებულება იანგარიშება შემდეგში დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის სამინისტროსთვის გადმოცემული ფართიდან და სავარაუდოდ 1 კვ.მ. (ერთი კვადრატული მეტრი) მიწის ნაკვეთზე შეადგენს 0,04 (ოთხი თეთრი) ლარს, ხოლო 200 000 (ორასი ათასი კვადრატული მეტრი) კვ.მ. მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების – 8 000 (ცხრა ათასი ლარი) ლარს;

4. კონკურსში მონაწილეობის საფასური

4.1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკი „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ - „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
მიმღების ანგარიშის №	GE52BR0000010591718543

4.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-5 ან მე-6 პუნქტების დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება.

6. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და დამოწმებული (ხელმოწერა, ბეჭედი) - უფლებამოსილი პირის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

7. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

8. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2013 წლის 10 ოქტომბერს 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე - ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კანცელარია.

9. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. კონკურსი ჩატარდება **2013 წლის 10 ოქტომბერს 18:00 საათზე**.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

12. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემსყიდველის მიერ კონკრეტული დავალების თაობაზე გონივრულ შეთანხმებულ ვადებში არაუმეტეს 20 დღისა.

13. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

13.1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: კოეფიციენტი – 0,1;

13.2. პერსონალის კვალიფიკაცია: კოეფიციენტი – 0,2;

13.3. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,7.

შენიშვნა: შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიენიჭებული ქულა.

14. სამინისტროს საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

15. შემსყიდველი არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

16. მომსახურების მიწოდების ნორმები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახით რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში დარეგისტრირება.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო პირობებით და შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

18. გამარჯვებული კონკურსანტი (მიმწოდებელი) ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში უსასყიდლოდ ჩაატაროს მის მიერ მიწოდებული მომსახურების მონიტორინგი (დადგენილი ნორმების შესაბამისად), ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საჭირო ცვლილებები.

19. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა აისახოს კონკურსით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების (მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნო აზომვითი ნახაზები) შედგენის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი (მათ შორის - დღგ), მოსაკრებელი და გადასახდელი.

20. ანგარიშსწორება

20.1. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

20.2. განხორციელდება გაწეული მომსახურების სრულად ან/და ეტაპობრივად მიწოდების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი), აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე 20 სამუშაო დღის განმავლობაში

20.3. მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება საჯარო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ.

21. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წამოადგინოს:

21.1. შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ-ს ჩათვლით.

21.2. ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ.

21.3. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ დანართი N 1-ის შესაბამისად;

21.4. რეკვიზიტები დანართი N 1-ის შესაბამისად;

21.5. ინფორმაცია კონკურსანტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

21.6. ინფორმაცია კონკურსანტის მიერ დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;

21.7. ფასების ცხრილი დანართი N 2 შესაბამისად.

22. კონკურსანტს დამატებითი განმარტებების (ინფორმაციის) მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

- კონკურსის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე - მაიკო მიქაია, ტელ.: 2 31 15 80,
- ტექნიკურ საკითხებზე - გია ნაჭყებია, ტელ: 599 035437.


ტექნიკური დავალება

1. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზების და საკადასტრო აზომვითი (მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნო აზომვითი ნახაზები) შედგენა;

2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო რაოდენობა:

- 2.1. შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების შედგენა - 200 000 კვ.მ.
- 2.2. მიწის საკადასტრო და გამიჯვნითი აზომვითი ნახაზების შედგენა - 200 000 კვ.მ.

შენიშვნა: ნახაზები წარმოდგენილი უნდა იყოს 3 ეგზემპლარად ქაღალდის ვერსია და ელექტრონული ვერსია CD დისკზე 3 ეგზემპლარად.



სახელმწიფო შესყიდვის

ხელშეკრულება

N2295/5085/--

ქ. თბილისი

--- 2013 წ.

(საინჟინრო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა „ელექტრონული კონკურსის“ საშუალებით)

ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ----- სახით და ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით მეორეს მხრივ, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ელექტრონული კონკურსის (N-----) ჩატარების შედეგად და გამარჯვებული შპს ----- მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი“) - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. მიმწოდებელი ორგანიზაცია (შემდგომში „მიმწოდებელი“) - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ----- მომსახურების შესყიდვა;

2.2. CPV 71300000 „საინჟინრო მომსახურებები“, CPV 71354300 „საკადასტრო კვლევა“;

2.3. შესყიდვის საშუალებად გამოყენებულია „ელექტრონული კონკურსი N -----“.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს --- (-----) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებას, ასევე შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით;

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადა და გაწეული მომსახურების მიწოდების ადგილი

4.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმდინარე დავალების შესრულებამდე.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი თამარაშვილის ქ. N15ა;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს მისი ხელმოწერიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დაწყება. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად უნაზღაურებს „შემსყიდველს“ მისთვის მიყენებულ ზარალს;

6.2. „მიმწოდებელი“ პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დროულად გადახდაზე;

6.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

6.4. „შემსყიდველი“ არ აგებს პასუხს „მიმწოდებლის“ მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე, მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე.

მუხლი 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

7.2. მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შიდა აზომვით და საკადასტრო აზომვითი ნახაზების საფუძველზე უძრავი ქონების რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ.

7.3. შესყიდვის ობიექტის და/ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღების და/ან შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, 3 (სამი) კალენდარულ დღეში ვადაში;

7.4. მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას, შემსყიდველის მხრიდან, განახორციელებს სამინისტროს -----;

მუხლი 8. მომსახურების ინსპექტირების პირობები

8.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მომსახურების შესყიდვის მიმდინარეობის შესაბამისობის შემოწმება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას განახორციელებს სამინისტროს -----;

8.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით, ხოლო გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4. შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის (მონიტორინგის) შედეგები იყო დადებითი.

მუხლი 9. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

9.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ტექნიკური დავალების მიხედვით მიწოდებული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი;

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

9.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსასწორებლად და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან;

9.4. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 10. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

10.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში „ლარი“;

10.2. გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის ვადაში დღის ვადაში;

10.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

11. მომსახურების გაწევის პირობები

11.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების პირობების შესაბამისად;

11.2. ხელშეკრულების პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების მოწოდების გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედგენის და შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

11.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს. ამავე დროს, „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შედგენილი დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

12.4. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.5. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებები) დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

მუხლი 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე მომსახურების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

15.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

15.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 16. ხელშეკრულებიდან გასვლა

16.1. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

16.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება ეს ხელშეკრულება და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარებენ მათ შორის წარმოქმნილ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ხელშეკრულების ენა

18.1. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

18.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისთვის მისაღებ ენაზე, ხოლო ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმომადგენს გადამწყვეტს;

18.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს;

მუხლი 19. სხვა პირობები

19.1. მხარეები ეთანხმებიან წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების პირობებს და კისრულობენ ვალდებულებას შეასრულონ აღნიშნული ხელშეკრულებით და შესაბამისი საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული მოთხოვნები;

19.2. მიმწოდებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს (თავისი კომპეტენციის ფარგლებში) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების პროცესში და შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მიცეს ახსნა-განმარტებები სამუშაოების შესრულებელს მის მიერ შედგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ასახული მონაცემების შესახებ;

19.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

1. პრეტენდენტის რეკვიზიტები	
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი/ელ.ფოსტა	
მომსახურე ბანკის დასახელება	
ბანკის კოდი	
ანგარიშსწორების ანგარიში	

2. ანგარიშსწორების პირობები
ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ფინანსური დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების შედგენა	28²	200 000		
2	საკადასტრო აზომვითი ნახაზების (მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნი აზომვითი ნახაზები) შედგენა	28²	200 000		

შენიშვნა: საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა აისახოს კონკურსით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზების, საკადასტრო აზომვითი ნახაზების (მიწების და შენობა-ნაგებობების გასამიჯნი აზომვითი ნახაზები) შედგენისა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადი (მათ შორის - დღგ), მოსაკრებელი და გადასახდელი.

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა